

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №92/04
2017 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 47-ე მუხლისა და 48-ე მუხლის მესამე პუნქტის, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისის №145 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის (შემდგომში – წესი) მიზანია გამჟღავნების მოთხოვნების მეშვეობით ხელი შეუწყოს საბაზრო დისციპლინის გაძლიერებას.

2. ამ წესით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნები ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის კომერციული ბანკის ძირითად ინფორმაციას, რაც განაპირობებს ბანკის წინაშე არსებული რისკებისა და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ გამჭვირვალობის ზრდასა და ნდობის ამაღლებას.

3. ამ წესით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისა და უცხოური ბანკების ფილიალებისთვის (შემდგომში – ბანკი).

4. ამ წესის მიხედვით დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნები დაფუძნებულია პილარ 3-ზე, რომელსაც განსაზღვრავს „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ ბაზელ III-ის ჩარჩო. თუ ეს წესი არ არეგულირებს ცალკეულ საკითხებს ან არ შეიცავს კონკრეტულ განმარტებას, ბანკებმა უნდა იხელმძღვანელონ „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ სტანდარტებით.

5. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) გამოიყენებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საზედამხედველო ზომებს ან/და სანქციას (ფულად ჯარიმას).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 27 აპრილის ბრძანება №87/04 - ვებგვერდი, 28.04.2020 წ.



მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები და განსაზღვრებანი

1. ამ წესში და წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებულ ანგარიშგების ფორმებში (შემდგომში: ანგარიშგების ფორმა) გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან;

ბ) პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან;

გ) საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან;

დ) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები;

ე) მთლიანი აქტივები – ბანკის საბალანსო უწყისით გათვალისწინებული მთლიანი აქტივები;

ვ) მთლიანი ვალდებულებები – ბანკის საბალანსო უწყისით გათვალისწინებული მთლიანი ვალდებულებები;

ზ) სააქციო კაპიტალი – ბანკის საბალანსო უწყისით გათვალისწინებული სააქციო კაპიტალი;

თ) ლიკვიდური აქტივები – აქტივები, რომელთა ფულად გარდაქმნა ფინანსურ ბაზრებზე შესაძლებელია ადვილად და დაუყოვნებლივ, მცირე დანაკარგებით ან დანაკარგების გარეშე;

ი) მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები – ბანკის საბალანსო უწყისით გათვალისწინებული მიმდინარე ანგარიშებისა და მოთხოვნამდე დეპოზიტების ჯამი;

კ) მთლიანი სესხები – ბანკის საბალანსო უწყისით გათვალისწინებული ბანკის მიერ გაცემული მთლიანი სესხები;

ლ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - კომერციული ბანკის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე, სადაც წონებად გამოიყენება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკები;

მ) უმოქმედო სესხები – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის (ფასს 9) შესაბამისად განსაზღვრული მე-3 დონის საკრედიტო რისკის ფინანსური ინსტრუმენტები და შეძენილი ან გამოშვებული გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტი (POCI);

ნ) მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი – საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მთლიანი სესხების მოცულობას გამოკლებული საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის არსებული მთლიანი სესხების მოცულობა და გაყოფილი საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის არსებული მთლიანი სესხების მოცულობაზე;

ო) წმინდა მოგება – ბანკის მოგება-ზარალის უწყისით გათვალისწინებული წმინდა მოგება;

პ) მთლიანი საპროცენტო შემოსავლები – წლიურად გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო შემოსავლები;

ჟ) მთლიანი საპროცენტო ხარჯები – წლიურად გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო ხარჯები;



რ) საოპერაციო შედეგი – წლიურად გაანგარიშებული ბანკის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობისგან მიღებული შედეგი, რომელიც გამოითვლება როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავალს მიმატებული მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები, გარდა დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან, სავალუტო სახსრების გადაფასებიდან და ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალისა და გამოკლებული მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები;

ს) წმინდა საპროცენტო მარჟა – წლიურად გაანგარიშებული წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან;

ტ) უკუგება საშუალო აქტივებზე – წლიურად გაანგარიშებული წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან;

უ) უკუგება საშუალო კაპიტალზე – წლიურად გაანგარიშებული წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ სააქციო კაპიტალთან;

ფ) საზედამხედველო კონსოლიდირების დონე – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ბანკისა და მასთან დაკავშირებული იმ საწარმოების ერთობლიობა (ასეთების არსებობის შემთხვევაში), რომლებისთვისაც გაერთიანებულად განსაზღვრულია საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

ქ) (ამოღებულია - 29.12.2022, №196/04);

ღ) მატერიალური ინფორმაცია – ინფორმაცია, რომლის არგამჟღავნებამ ან არასწორმა გადმოცემამ შეიძლება, გავლენა მოახდინოს იმ დაინტერესებული პირის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა ამ ინფორმაციას;

ყ) კომერციული საიდუმლოება – ამ დებულების მიზნებისათვის ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ბანკის კონკურენტუნარიანობას. აღნიშნული შესაძლოა, მოიცავდეს ინფორმაციას პროდუქტებისა და სისტემების შესახებ, რომელთა გამჟღავნებაც ბანკის ინვესტიციებს ნაკლებად ღირებულს გახდის;

შ) კონფიდენციალური ინფორმაცია – კანონით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია ან ინფორმაცია, რომლის შესახებაც ბანკს მომხმარებლებისა და სხვა კონტრაქტების წინაშე ნაკისრი აქვს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება;

ჩ) მატერიალური რისკის ამღები პირები – ბანკის მიერ იდენტიფიცირებული თანამშრომლები, რომელთა საქმიანობაც მატერიალური რისკის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული;

ც) მატერიალური ცვლილება – ცვლილება, რომელიც შეიცავს (ან დაკავშირებულია) მატერიალურ ინფორმაციას (ინფორმაციასთან);

ძ) პილარ 3-ის ანგარიშგება:

ძ.ა) პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება – ანგარიშგება, რომელიც მოიცავს რაოდენობრივ ინფორმაციას ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმაში მოცემული ფიქსირებული ცხრილების, განმარტებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, ან/და:

ძ.ბ) პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება – ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმას, №2 ანგარიშგების ფორმაში მოცემული ფიქსირებული ცხრილებით განსაზღვრულ რაოდენობრივ ინფორმაციას; გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social and Governance – ESG) საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმით (№3 ანგარიშგების ფორმა) განსაზღვრულ ინფორმაციას და ამ წესის მე-5-მე-7 მუხლებით განსაზღვრულ ხარისხობრივ ინფორმაციას.

2. ეკონომიკური მაჩვენებლების შესადარისობისათვის, მათ გაანგარიშებაში მონაწილე ფინანსური მონაცემები აიღება საშუალო წლიური ან წლიურად გაანგარიშებული მნიშვნელობით.



3. საბალანსო მაჩვენებლების საშუალო წლიური მნიშვნელობა გაიანგარიშება, როგორც წინა კალენდარული წლის ბოლო თარიღისა და კალენდარული წლის დასაწყისიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე შემავალი თვეების ბოლო თარიღების მდგომარეობით არსებული მონაცემების საშუალო არითმეტიკული, კერძოდ:

ა) მარტი – (31/12, 01, 02 და 03 თვეების მონაცემების ჯამი)/4;

ბ) ივნისი – (31/12, 01, 02 ,03, 04, 05 და 06 თვეების მონაცემების ჯამი)/7;

გ) სექტემბერი – (31/12, 01, 02 ,03, 04, 05, 06, 07, 08 და 09 თვეების მონაცემების ჯამი)/10;

დ) წლიური (დეკემბერი) – (31/12, 01, 02 ,03, 04, 05, 06, 07, 08, 09, 10, 11 და 12 თვეების მონაცემების ჯამი)/13,

სადაც 31/12 აღნიშნავს წინა კალენდარული წლის ბოლო თარიღს.

4. მოგება-ზარალის უწყისის მაჩვენებლების წლიურად გაანგარიშება წარმოებს საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის უწყისის შესაბამისი მონაცემის გამრავლებით ქვემოთ მითითებული პუნქტებით მოცემულ კოეფიციენტზე:

ა) მარტი – *4/1;

ბ) ივნისი – *4/2;

გ) სექტემბერი – *4/3;

დ) წლიური (დეკემბერი) – *4/4.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 1 ივნისის ბრძანება №70/04 - ვებგვერდი, 02.06.2021 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №196/04 - ვებგვერდი, 30.12.2022 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 31 მარტის ბრძანება №68/04 - ვებგვერდი, 03.04.2023 წ.*

მუხლი 3. ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების ძირითადი პრინციპები

1. ამ წესით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები გულისხმობს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოქვეყნებას კაპიტალის ადეკვატურობის, კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის შესახებ. ინფორმაციის გამოქვეყნება მოითხოვება კვარტალური და წლიური პერიოდულობით.

2. ბანკები ვალდებული არიან მათ მიერ წარმოდგენილ რაოდენობრივ ინფორმაციას დაურთონ შესაბამისი განმარტებები, საანგარიშგებო პერიოდებს შორის მომხდარი მატერიალური ცვლილებების ასახსნელად, ასევე, სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია რაოდენობრივი ინფორმაციის მართებულად აღსაქმელად ან/და რაც ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის აზრით, შესაძლოა, საინტერესო იყოს ბაზრის მონაწილეებისთვის.

3. ამ წესით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას უნდა არსებობდეს ბალანსი მატერიალური ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროებასა და კონფიდენციალური ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების დაცვას შორის. გამონაკლის შემთხვევებში, თუ ამ წესით გარკვეული სახის ინფორმაციის გამჟღავნება საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის ბანკის კონფიდენციალურ ინფორმაციას ან კომერციულ საიდუმლოებას, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს ბანკის პოზიციის გამოვლენა ან შელახოს მისი სამართლებრივი უფლებები და ვალდებულებები, ბანკი არ არის ვალდებული, გაამჟღავნოს აღნიშნული ინფორმაცია. ასეთ შემთხვევებში, ბანკმა უნდა გამოაქვეყნოს შედარებით ზოგადი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე, ასევე წესის №1 და №2 ანგარიშგების ფორმების თანმხლებ კომენტარში ან/და პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში უნდა აღნიშნოს, რომ ცალკეული ტიპის ინფორმაცია არ გამოქვეყნდა და ახსნას ამ მიდგომის მიზეზები.



4. ბანკის პილარ 3-ის ფარგლებში მომზადებული ანგარიშგებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისთვის. ამ მიზნით პილარ 3-ის კვარტალური და წლიური ანგარიშგებები ექვემდებარება ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებას ბანკისა და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდებზე. აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 ცხრილები ექვემდებარება ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებას.

5. ბანკის პილარ 3-ის ანგარიშგება უნდა გამოქვეყნდეს და მიეწოდოს ეროვნულ ბანკს:

ა) პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება – საანგარიშგებო კვარტლის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. კვარტალური ანგარიშგება უნდა გამოქვეყნდეს და მიეწოდოს ეროვნულ ბანკს ოთხივე კვარტლისთვის;

ბ) პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება – არაუგვიანეს წლიური ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისა.

6. ბანკის მიერ პილარ 3-ის ფარგლებში გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა ექვემდებარებოდეს, სულ მცირე, იმავე დონის შიდა განხილვისა და კონტროლის პროცესებს, რასაც ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, რაც მოიცავს პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების აუდიტის კომიტეტის ან რისკების კომიტეტის მიერ დამტკიცებას, ბანკის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად.

7. ცალკეულ შემთხვევებში ბანკს შეუძლია ამ წესის მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაცია ან მისი ნაწილი გაამჟღავნოს პილარ 3-ის ანგარიშგებისგან დამოუკიდებელ დოკუმენტში. ასეთ შემთხვევაში, გამოქვეყნებული ინფორმაცია სრულად უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მოთხოვნებს და პილარ 3-ის ანგარიშგებაში დეტალურად უნდა მიეთითოს წყარო, სადაც აღნიშნული ინფორმაციაა გამოქვეყნებული.

8. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი პასუხისმგებელია დანერგოს და შეინარჩუნოს ფინანსური ინფორმაციის, მათ შორის პილარ 3-ის ფარგლებში, გამჟღავნების შიდა კონტროლის ეფექტური სტრუქტურა. დირექტორატმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით.

9. ამ წესის შესაბამის ანგარიშგების ფორმებს ეროვნული ბანკი განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს ამ წესის შესაბამისი ანგარიშგების ფორმების გარკვეული ელემენტები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 1 ივნისის ბრძანება №70/04 - ვებგვერდი, 02.06.2021 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 27 ივნისის ბრძანება №68/04 - ვებგვერდი, 28.06.2022 წ.

მუხლი 4. კვარტალური გამჟღავნების მოთხოვნები

ბანკები ვალდებული არიან კვარტალურად გაამჟღავნონ შემდეგი ინფორმაცია:

ა) ბანკის პრუდენციული საზედამხედველო მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების, საბალანსო და ბალანსგარეშე ელემენტების და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე წესის №1 ანგარიშგების ფორმის 1-5 ცხრილების შესაბამისად;

ბ) დირექტორატის, სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-6 ცხრილის შესაბამისად;

გ) ფინანსურ ანგარიშგებებსა და საზედამხედველო რისკის პოზიციებს შორის კავშირები:



გ.ა) საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული სტანდარტული საბალანსო უწყისის აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული საბალანსო ელემენტებს შორის კავშირები ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-7 ცხრილის შესაბამისად;

გ.ბ) საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებულ საბალანსო უწყისში წარმოდგენილ საბალანსო ღირებულებებსა და კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლებში გამოყენებულ საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ რისკის პოზიციებს შორის განსხვავებების ძირითადი მიზეზები ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-8 ცხრილის შესაბამისად;

დ) საზედამხედველო კაპიტალი:

დ.ა) საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების ჩაშლა ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-9 ცხრილის შესაბამისად;

დ.ბ) საბალანსო უწყისისა და საზედამხედველო კაპიტალის ელემენტებს შორის კავშირები ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-10 ცხრილის შესაბამისად;

დ.გ) საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 9.1 ცხრილის შესაბამისად;

ე) საკრედიტო რისკის პოზიციები:

ე.ა) საკრედიტო რისკის პოზიციების ჩაშლა აქტივების კლასებისა და რისკის წონების მიხედვით, სტანდარტიზებული მიდგომის თანახმად, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-11 ცხრილის შესაბამისად;

ე.ბ) ბანკის მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკის მიტიგაციის ფორმები ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-12 ცხრილის შესაბამისად. აღნიშნულმა უნდა მოიცვას კაპიტალის მოთხოვნების შესამცირებლად გამოყენებული საკრედიტო რისკის მიტიგაციის ყველა ფორმა და ყველა უზრუნველყოფილი რისკის პოზიციის გამჟღავნება;

ე.გ) საბალანსო და ბალანსგარეშე რისკის პოზიციების მოცულობა საკრედიტო კონვერსიის ფაქტორისა და საკრედიტო რისკის მიტიგაციის გათვალისწინების გარეშე და მათი გათვალისწინების შემდეგ ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-13 ცხრილის შესაბამისად;

ე.დ) ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-14 ცხრილის შესაბამისად.

ვ) კონტრაქტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

ზ) ძირითადი ინფორმაცია აქტივებზე:

ზ.ა) რისკის პოზიციის ღირებულების განაწილება ნარჩენი ვადიანობის და რისკის კლასების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-17 ცხრილის შესაბამისად;

ზ.ბ) აქტივების, აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ჩამოწერის განაწილება რისკის კლასების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-18 ცხრილის შესაბამისად;

ზ.გ) აქტივების, აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ჩამოწერის განაწილება დაფარვის წყაროს სექტორების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-19 ცხრილის შესაბამისად;

ზ.დ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება სესხებზე და კორპორატიულ სავალო ფასიან ქაღალდებზე, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-20 ცხრილის შესაბამისად;

ზ.ე) უმოქმედო სესხების ცვლილება, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 21-ე ცხრილის შესაბამისად;



ზ.ვ) სესხების, სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება, საკრედიტო რისკის კატეგორიის, ვადაგადაცილების და მსესხებლის ტიპის მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 22-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.ზ) სესხების, უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით განაწილებული სესხების, სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, სესხებზე უზრუნველყოფის ღირებულების და გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხების განაწილება საკრედიტო რისკის კატეგორიისა და ვადაგადაცილების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 23-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.თ) სესხების და სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაწილება, დაფარვის წყაროს სექტორების და საკრედიტო რისკის კატეგორიის მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 24-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.ი) სესხების, კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება უზრუნველყოფების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 25-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.კ) ზოგადი და ხარისხობრივი ინფორმაცია საცალო პროდუქტებზე, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 26-ე ცხრილის შესაბამისად;

თ) ლევერიჯის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის N15.1 ცხრილის შესაბამისად;

ი) წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-16 ცხრილის შესაბამისად.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის ბრძანება №45/04 - ვებგვერდი, 16.03.2018წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 იანვრის ბრძანება №14/04 - ვებგვერდი, 31.01.2019წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №111/04 - ვებგვერდი, 30.07.2021წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №147/04 - ვებგვერდი, 20.10.2021წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №196/04 - ვებგვერდი, 30.12.2022 წ.*

მუხლი 5. პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება

1. ბანკის მიერ გამოსაქვეყნებელი პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება მოიცავს ამ წესის №1, №2 ანგარიშგების ფორმებში მოცემული ცხრილებით განსაზღვრულ რაოდენობრივ ინფორმაციას, №3 ანგარიშგების ფორმით განსაზღვრულ ინფორმაციას და ამ მუხლსა და ამ წესის მე-6 და მე-7 მუხლებში მოცემულ ხარისხობრივ ინფორმაციას.

2. ბუღალტრული და საზედამხედველო კონსოლიდირების დონით გამოწვეული განსხვავებების მიზნით, ბანკები ვალდებული არიან პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში წარმოადგინონ:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილ და გამოქვეყნებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების ღირებულებების შედარება იმავე მუხლების შესაბამის ღირებულებებთან საზედამხედველო კონსოლიდირების დონეზე ამ წესის №2 ანგარიშგების ფორმის მე-20 ცხრილის შესაბამისად. ბანკები ვალდებული არიან განმარტონ ღირებულებებს შორის არსებული მატერიალური განსხვავებები;

ბ) ყველა იმ საწარმოს ჩამონათვალი, რომელიც კონსოლიდირდება ფინანსური და/ან საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის, მათი შესაბამისი კონსოლიდირების მეთოდის მითითებით ამ წესის №2 ანგარიშგების ფორმის 21-ე ცხრილის შესაბამისად.

3. ბანკებმა უნდა გაამჟღავნონ საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია ამ წესის №2 ანგარიშგების ფორმის 22-ე და 23-ე ცხრილების შესაბამისად.

4. ბანკებმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია ESG საკითხებთან დაკავშირებით, რა მიზნითაც უნდა გამოიყენონ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული №3



ანგარიშგების ფორმის უახლესი ვერსია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო, სასარგებლო, თავსებადი და შესადარისი ინფორმაციის გამჟღავნება. ბანკმა №3 ანგარიშგების ფორმის შევსებისას რეკომენდებულია იხელმძღვანელოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული და ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპებით. ბანკი ვალდებულია მაქსიმალურად დაბალანსებული და გასაგები შეფასება წარმოადგინოს ბანკის ბიზნეს მოდელის, პოლიტიკისა და სათანადო შეფასების (Due Diligence) პროცესების, შედეგების, ძირითადი რისკებისა და მენეჯმენტის და შესრულების ძირითადი ინდიკატორების შესახებ.

[4. ბანკებმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია ESG საკითხებთან დაკავშირებით, რა მიზნითაც უნდა გამოიყენონ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული №3 ანგარიშგების ფორმის უახლესი ვერსია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო, სასარგებლო, თავსებადი და შესადარისი ინფორმაციის გამჟღავნება. ბანკმა №3 ანგარიშგების ფორმის შევსებისას რეკომენდებულია იხელმძღვანელოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული და ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპებით. ბანკი ვალდებულია მაქსიმალურად დაბალანსებული და გასაგები შეფასება წარმოადგინოს ბანკის ბიზნეს მოდელის, პოლიტიკისა და სათანადო შეფასების (Due Diligence) პროცესების, შედეგების, ძირითადი რისკებისა და მენეჯმენტის და შესრულების ძირითადი ინდიკატორების შესახებ. ამასთან, ბანკი ვალდებულია №3 ანგარიშგების ფორმაში მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 3 აგვისტოს №93/04 ბრძანებით დამტკიცებული „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესით. (ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან)].

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 1 ივნისის ბრძანება №70/04 - ვებგვერდი, 02.06.2021 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №114/04 - ვებგვერდი, 01.09.2022 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №196/04 - ვებგვერდი, 30.12.2022 წ.

მუხლი 6. ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

1. ბანკებმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია ბანკის მფლობელობასა და ჯგუფის სტრუქტურის შესახებ. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ბანკის მონათესავე საწარმოებსა და ბანკის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დაინტერესებული პირების მიერ აღნიშნული ინფორმაციის უკეთ აღსაქმელად, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნეს სქემატური ილუსტრაციები.

2. ბანკებმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში კორპორაციული მართვის შესახებ უნდა გაამჟღავნონ შემდეგი ხარისხობრივი ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ა) აქციონერებისა და აქციონერთა კრების მიმოხილვა, მათი უფლებები და პოლიტიკის მიმოხილვები, რომლითაც რეგულირდება აქციონერთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები.

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს აღწერა:

ბ.ა) სამეთვალყურეო საბჭოსა და საბჭოს კომიტეტების ფუნქცია-მოვალეობები და შემადგენლობა;

ბ.ბ) პოლიტიკა და წესები, თუ როგორ განისაზღვრება წევრების დამოუკიდებლობა და თითოეული დამოუკიდებელი წევრის დამოუკიდებლად მიჩნევის შესახებ არგუმენტები;

ბ.გ) საბჭოს დაბალანსებულობის შეფასება (განათლება, გამოცდილება, დომინანტი პირის რისკი და ა. შ.);

ბ.დ) ბანკის საქმიანობაში საბჭოს ჩართულობის აღწერა. მათ შორის, რა სიხშირით განიხილავს და ამტკიცებს საბჭო რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს;

ბ.ე) საბჭოსა და კომიტეტების კრებების ჩატარების სიხშირე, წევრების დასწრების სტატისტიკა და კრებებზე განხილული საკითხების თემატური მიმოხილვა;



ბ.ვ) საბჭოს, საბჭოს კომიტეტების და მათი წევრების საქმიანობის შეფასება და შეფასების პროცესის აღწერა. აღნიშნული მოიცავს, როგორც საბჭოს მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასებას, ასევე გარე შემფასებლის შეფასებებს;

ბ.ზ) პასუხისმგებლობის დელეგირების სისტემა – რა ტიპის გადაწყვეტილებებს იღებს საბჭო და რა ტიპის გადაწყვეტილებების დელეგირების უფლებამოსილება გააჩნია აღმასრულებელ ერთეულზე;

გ) ჰოლდინგური სტრუქტურის არსებობის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები მოიცავს ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებული კომიტეტების აღწერას. ასევე, მათ მიერ ბანკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმოხილვას;

დ) დირექტორატის აღწერა:

დ.ა) დირექტორატისა და აღმასრულებელ დონეზე არსებული კომიტეტების შემადგენლობა;

დ.ბ) დირექტორატის წევრთა შერჩევის პოლიტიკა, მათი განათლება, გამოცდილება და უნარები;

დ.გ) დირექტორატის მიმოხილვა პასუხისმგებელი სფეროების მიხედვით.

3. ბანკის რისკის პროფილისა და რისკის აპეტიტის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, ბანკებმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ შემდეგი ხარისხობრივი ინფორმაცია რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ა) ბანკის სტრატეგია და მასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მართვა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბანკის რისკის პროფილისა და ბიზნეს მოდელის ურთიერთკავშირი;

გ) რისკის მართვის სტრუქტურა, რომელიც რისკების სახეების მიხედვით (საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საოპერაციო რისკი და ა.შ.) უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კონტროლი და უფლებამოსილების დელეგირება, მოვალეობების, პოლიტიკებისა და ჩარჩოს აღწერა, რისკის მართვის პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის, (სამეთვალყურეო საბჭო, აღმასრულებელი მენეჯმენტი, დამოუკიდებელი რისკების ფუნქცია, რისკების მართვის სტრუქტურა, შესაბამისობის სამსახური, შიდა აუდიტის კომიტეტი) კავშირების აღწერა;

დ) რისკის კულტურის კომუნიკაციის, შემცირებისა და აღსრულების საშუალებები, მათ შორის, ბანკის ეთიკის კოდექსი, საოპერაციო ლიმიტების, დარღვევათა რეგულირების პროცედურების, რისკის ზღვრების დარღვევის სახელმძღვანელო; ბიზნეს ხაზსა და რისკის ფუნქციას შორის საკითხების მიმოცვლის და თანამშრომლობის პროცედურები, რისკების მართვის ფუნქციის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პროცესები;

ე) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატთან რისკების შესახებ ანგარიშგების პროცესის აღწერა, კერძოდ, ანგარიშგების დონე და რისკის პოზიციის შესახებ ანგარიშგების ძირითადი შემადგენელი ნაწილები;

ვ) ინფორმაცია ბანკის მიერ რისკების მართვაში გამოყენებული სტრეს-ტესტების შესახებ;

ზ) რისკის მართვის, ჰეჯირებისა და მიტიგაციის სტრატეგიებისა და პროცესების ეფექტურობის მონიტორინგის პროცესები.

თ) ინფორმაცია საკრედიტო რისკის მიტიგაციის შესახებ:

თ.ა) უზრუნველყოფის შეფასებისა და მართვის ძირითადი პოლიტიკა და პროცედურები;

თ.ბ) ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის საშუალებების ძირითადი სახეების მახასიათებლები;



თ.გ) ინფორმაცია საკრედიტო რისკის კონცენტრაციის შესახებ მიტიგაციის ინსტრუმენტების მიხედვით;

თ.დ) უზრუნველყოფაში მიღებული გარანტიებისა და კონტრაქტების ძირითადი ტიპები;

ი) ბანკის მიერ სტანდარტიზებული მიდგომის გამოყენების შესახებ ინფორმაციის შესავსებად, ბანკებმა უნდა გაამჟღავნონ ხარისხობრივი ინფორმაცია მათ მიერ საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების (სშგი) საკრედიტო რეიტინგების გამოყენების შესახებ, კერძოდ:

ი.ა) იმ სშგი-ების დასახელებები, რომელთა საკრედიტო შეფასებებსაც იყენებს ბანკი და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სშგი-ს ნებისმიერი ცვლილების გამომწვევი მიზეზები;

ი.ბ) იმ აქტივების კლასები, რომლებისთვისაც გამოიყენება თითოეული სშგი.

4. ბანკებმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ შემდეგი ხარისხობრივი ინფორმაცია საზედამხებდველო კაპიტალის შესახებ:

ა) კაპიტალის ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ინსტრუმენტების სახეებს, მათ ვადიანობას და ხარისხს;

ბ) კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ზოგადი ინფორმაცია იმ სამართლებრივი აქტების შესახებ, რომელთა მიხედვითაც კომერციულ ბანკებს განსაზღვრული აქვთ კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები, ასევე ინფორმაცია კაპიტალის კომბინირებული ბუფერებისა და პილარ 2-ის ჯამური ბუფერის შესახებ.

5. ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგების გარდა, ბანკმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში უნდა წარმოადგინოს ხარისხობრივი ინფორმაცია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების შესახებ, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს №3 ანგარიშგების ფორმის მოკლე შეჯამებას.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის ბრძანება №45/04 - ვებგვერდი, 16.03.2018წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 1 ივნისის ბრძანება №70/04 - ვებგვერდი, 02.06.2021 წ.*

მუხლი 7. ანაზღაურების პოლიტიკის გამჟღავნების მოთხოვნები

1. ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ ბაზრის მონაწილეების ინფორმირებისათვის ბანკებმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშში უნდა გაამჟღავნონ ანაზღაურების პრაქტიკასთან დაკავშირებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები. რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ანაზღაურების მოცულობას უმაღლესი მენეჯმენტისა და სხვა მატერიალური რისკების ამღები პირების მიხედვით ამ წესის №2 ანგარიშგების ფორმის 24-ე-27-ე ცხრილების შესაბამისად.

2. უმაღლესი მენეჯმენტისა და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირებისთვის, ბანკებმა, არსებობის შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნონ შემდეგი ინფორმაცია ანაზღაურების პოლიტიკასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით:

ა) ინფორმაცია იმ სტრუქტურულ ერთეულებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ანაზღაურებას:

ა.ა) ანაზღაურების განმსაზღვრელი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და შემადგენლობა;

ა.ბ) ინფორმაცია გარე კონსულტანტების შესახებ, რომელთა კონსულტაცია გაითვალისწინება ანაზღაურების განსაზღვრისას, ამასთან, ინფორმაცია, თუ რომელი ორგანოს მიერ მიენიჭათ მათ აღნიშნული უფლებამოსილება და რა სფეროში;

ა.გ) ბანკის ანაზღაურების პოლიტიკის სტრუქტურის აღწერა ბიზნეს ხაზების მიხედვით;



ა.დ) პოზიციების აღწერა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმაღლეს მენეჯმენტსა და სხვა მატერიალური რისკის ამღებ პირთა ჯგუფს და თითოეულ ჯგუფში თანამშრომელთა რაოდენობა;

ბ) ანაზღაურების გეგმასა და სტრუქტურასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

ბ.ა) ანაზღაურების პოლიტიკის ძირითადი მიზნები და მახასიათებლები;

ბ.ბ) სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე ანაზღაურების კომიტეტის არსებობის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდში კომიტეტის მიერ განხილული პოლიტიკა ან/და მასში შეტანილი ცვლილებები;

ბ.გ) პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს რისკების ფუნქციისა და შესაბამისობის სამსახურის თანამშრომელთა ანაზღაურების მათივე საქმიანობისგან დამოუკიდებლობას.

გ) არსებული და მოსალოდნელი რისკების გავლენა ანაზღაურებაზე:

გ.ა) ძირითადი რისკების მიმოხილვა, რომლებიც გაითვალისწინება ანაზღაურების განსაზღვრისას;

გ.ბ) იმ ძირითადი მაჩვენებლების აღწერა, რომლებიც მხედველობაში მიიღება ამ მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისი რისკების გასათვალისწინებლად, მათ შორის, რთულად გასაზომი რისკების;

გ.გ) მოცემული მაჩვენებლების ანაზღაურებაზე გავლენის ანალიზი;

გ.დ) მაჩვენებლების ცვლილების ანალიზი საანგარიშგებო პერიოდში, ცვლილებების მიზეზები და ამ ცვლილებების გავლენა ანაზღაურებაზე;

დ) პროცესების აღწერა, რომელთა მეშვეობითაც საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის შედეგები აისახება ანაზღაურებაზე:

დ.ა) საქმიანობის შედეგების ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა, როგორც მთლიანად ბანკისთვის, ასევე უმაღლესი მენეჯმენტის ფუნქციებისა და პირების მიხედვით;

დ.ბ) ბანკისა და ინდივიდუალურ პირთა საქმიანობის შედეგების გავლენა ინდივიდუალურ ანაზღაურებაზე;

დ.გ) ბანკის საქმიანობის არადადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, ანაზღაურების მაკორექტირებელი ღონისძიებების ანალიზი;

ე) პროცესების აღწერა, რომელთა მეშვეობითაც ანაზღაურება კორექტირდება შედარებით გრძელვადიან შედეგებთან მიმართებაში:

ე.ა) გადავადებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებული პოლიტიკის აღწერა; იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების გადავადებული ნაწილი განსხვავდება თანამშრომლებს ან თანამშრომელთა ჯგუფებს შორის, იმ ფაქტორების აღწერა, რომლებიც განაპირობებენ ამ განსხვავებას და მათი შედარებითი მნიშვნელობა;

ე.ბ) ბანკის პოლიტიკისა და კრიტერიუმების ანალიზი, რომელთა მეშვეობითაც ხდება გადავადებული ანაზღაურების კორექტირება, განაღდებად და განაღდების შემდეგ ჯარიმების/სანქციების მეშვეობით;

ვ) ცვალებადი ანაზღაურების განსხვავებული ფორმების აღწერა, რომლებსაც ბანკი იყენებს და ანაზღაურების ამ ფორმების გამოყენების არგუმენტაცია:

ვ.ა) ცვალებადი ანაზღაურების ფორმების მიმოხილვა (მაგ: ნაღდი ფული, აქციები, აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და სხვა ფორმები);

ვ.ბ) ცვალებადი ანაზღაურების სხვა ფორმების აღწერა, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ცვალებადი ანაზღაურების სხვადასხვა ფორმის კომბინაცია განსხვავდება თანამშრომლებს ან თანამშრომელთა



ჯგუფებს შორის, იმ ფაქტორების აღწერა, რომლებიც განსაზღვრავენ კომბინაციას და მათი შედარებითი მნიშვნელობა;

ვ.გ) საქმიანობის შედეგების საზომი კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება აქციების, ოფციონებისა და ანაზღაურების ცვალებადი კომპონენტების მისანიჭებლად;

ზ) თანამშრომელთა რაოდენობა, რომელთა ანაზღაურებამაც ფინანსური წლის განმავლობაში გადააჭარბა 1 მილიონ ლარს;

თ) ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება ბანკისგან აქციონერის ან ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ და რომელთა გადახდაც დაკავშირებულია ამ პირის მიერ ბანკისთვის გაწეულ მომსახურებასთან, ექვემდებარება პილარ 3-ის წლიურ ანგარიშში გამოქვეყნებას. გამჟღავნებას დაქვემდებარებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, თითოეული აქციონერის მიერ მიღებული ანაზღაურების მოცულობას, ანაზღაურების ფორმებისა და გაწეული მომსახურების აღწერას. ამ მოთხოვნის მიზნებისთვის არ გაითვალისწინება ის აქციონერები, რომლებსაც აქვთ აღმასრულებელი ფუნქციები ბანკში ან/და რომელთა წილი ბანკის განადგურებულ კაპიტალში 2%-ზე ნაკლებია.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. ბანკები ვალდებული არიან 2020 წლის 30 სექტემბრამდე უზრუნველყონ ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნების ეფექტური შესრულება, რომლის გამოქვეყნება საანგარიშგებო კვარტალის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ ეკისრებათ. ბანკები ვალდებული არიან 2020 წლის მე-4 კვარტალის და 2021 წლის პირველი კვარტალის კვარტალური ანგარიშგებისთვის განსაზღვრული ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები შეასრულონ ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მითითების შესაბამისად, ამასთან, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ანგარიშგების გამოქვეყნება საანგარიშგებო კვარტალის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ ეკისრებათ.

1¹. ბანკები ვალდებული არიან ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნების ეფექტური შესრულება 2021 წლის მეორე კვარტალის კვარტალური ანგარიშგებისთვის უზრუნველყონ 2021 წლის 31 აგვისტომდე.

2. ბანკებმა ამ წესით განსაზღვრული პილარ 3-ის პირველი კვარტალური ანგარიშგება უნდა გამოაქვეყნონ 2017 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით, 2017 წლის 31 ივლისამდე.

3. ბანკებმა ამ წესით განსაზღვრული პილარ 3-ის პირველი წლიური ანგარიშგება უნდა წარმოადგინონ 2017 წლის მდგომარეობით, არაუგვიანეს 2018 წლის 15 მაისისა.

4. (ამოღებულია - 27.10.20, №191/04).

5. წინამდებარე წესის №1 და №2 ანგარიშგების ფორმების ცხრილებში მოცემული წინა წლის ანალოგიური პერიოდების მაჩვენებლების შევსება ანგარიშგების პირველი თარიღისათვის სავალდებულოა მხოლოდ ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესის №1 ანგარიშგების ფორმის 1-3 ცხრილებისათვის.

6. 2018 წლიდან ბანკებს აღარ ექნებათ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 1-ლი ცხრილით მოთხოვნილი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 12 თებერვლის №18/04 ბრძანებით განსაზღვრული ბაზელ I-ის ჩარჩოზე დაფუძნებული პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტების გამჟღავნების ვალდებულება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 ივნისის ბრძანება №115/04 - ვებგვერდი, 28.06.2018წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 იანვრის ბრძანება №14/04 - ვებგვერდი, 31.01.2019წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 25 ივნისის ბრძანება №110/04 - ვებგვერდი, 27.06.2019წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №255/04 - ვებგვერდი, 30.12.2019წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 31 მარტის ბრძანება №60/04 - ვებგვერდი, 31.03.2020წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №191/04 - ვებგვერდი, 28.10.2020წ.



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №8/04 - ვებგვერდი, 29.01.2021 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 29 აპრილის ბრძანება №55/04 - ვებგვერდი, 29.04.2021 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №111/04 - ვებგვერდი, 30.07.2021 წ.

